**სს “კავკასრეესტრი”**
**მოსაწვევი აქციონერთა მორიგ კრებაზე**
**მოსაწვევი მომზადებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის და საზოგადოების წესდების შესაბამისად**

**ქ. თბილისი,** 23 .02.2026

აქციონერთა კრების მოწვევის მიზანია, რომ აქციონერთა კრებამ დაამტკიცოს წარმოდგენილი წესდება, 2024 წლის აუდირებული ანგარიში და მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მნიშვნელობის შესახებ წარმოადგენილია დეტალური ინფორმაცია. (იხ. წესდებაში ცვლილებების დასაბუთება - საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის)

*ა) საერთო კრების ჩატარების თარიღი და ადგილი;*

- გაცნობებთ რომ სს “კავკასრეესტრის” აქციონერთა კრება გაიმართება 2026 წლის 17 მარტს, 11:00 საათზე, კომპანიის მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

*ბ) საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმები;*

- საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
- კრებაზე დასწრება შესაძლებელია როგორც პირადად ასევე წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.
- საერთო კრების ჩატარების ფორმა არის ფიზიკური დასწრება, კრებაზე ხმის მიცემა განხორციელდება ღია კენჭისყრით ფორმით.

*გ) საერთო კრების დღის წესრიგი;*

1. 2024 წლის აუდირებული ანგარიშის დამტკიცება და მმართველი ორგანოს მუშაობის შეფასება;
2. მოგების განაწილების შესახებ;
3. სს “კავკასრეესტრის” წესდებისა და სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება, საწარმოს რეგისტრაციის მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
5. სს ,,კავკასრეესტრის“ ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორის არჩევის შესახებ;
6. მარეგისტრირებელ ორგანიზაციაში რეგისტრაციის მიზნით უფლებამოსილი პირის და მისი უფლებამოსილების განსაზღვრა.

*დ) საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებისთვის შეტყობინების ფორმა;*

- კრების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ აქციონერებს ეცნობებათ კომპანიის პორტალზე შესაბამისი ინფორმაციის, განთავსების გზით. ინფორმაცია პორტალზე განათვსდება კრების ჩატარების თარიღამდე 21 დღით ადრე.

*ე) აქციონერებისთვის გადასაცემი მასალების ნუსხა და ამ მასალების გადაცემის წესი;*

- მოქმედი წესდება;
- ახალი წესდების (პროექტი) (სუფთა ვერსია და ვერსია ცვლილებებით თვალსაჩინოებისათვის.)
- წესდებაში ცვლილებების დასაბუთება (საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის)
- სადამფუძნებლო შეთანხმება (პროექტი)
- აქციონერთა კრების გადაწყვეტილების პროექტი
- წინამდებარე დღის წესრიგი, მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და სს კავკასრეესტრის სადამფუძნებლო შეთანხმების (მ.შ. წესდების) პროექტი გამოქვეყნებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და კომპანიის ვებ-გვერდზე (www.kavkasreestri.ge). დღის წესრიგის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგება განთავსებულია ეროვნული ბანკის და კომპანიის ვებ-გვერდზე.

*ვ) საერთო კრების სააღრიცხვო დღე.*

- საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2026 წლის 27 თებერვალი. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან. აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.

*საერთო კრების დღის წესრიგის მასალები შეიცავს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.*

**მომხსენებელი: კრების თავმჯდომარე, ბატონი ვახტანგ სვანაძე**

23.02.2025

დანართები:

- მოქმედი წესდება;
- ახალი წესდების (პროექტი) (სუფთა ვერსია და ვერსია ცვლილებებით თვალსაჩინოებისათვის);
- წესდებაში შესწორებების დასაბუთება (საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის);
- სადამფუძნებლო შეთანხმება (პროექტი);
- აქციონერთა კრების გადაწყვეტილების პროექტი;

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41276508129214

## საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

# სამეწარმეო იურიდიული პირის წესდების დამოწმების ცვლილება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N140949806**

რეგისტრაციის თარიღი

**05.09.2014 წ**

ნოტარიუსი: ციური ზერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

რეგისტრირებულია საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს
საგადასახადო დეპარტამენტის
თბილისის საგადასახადო ინსპექციის
უფროსის ბრძანებით

№7053/006-5ა/5-58 ს/ს
23 აგვისტო, 2006 წელი

მიღებულია სს „კავკასრეესტრის“
აქციონერთა კრების მიერ
2006 წლის 22 მაისს,
(ოქმის სანოტარო რეესტრში
რეგისტრაციის №1-483)

აქციონერთა კრების მიერ
შეტანილ იქნა ცვლილებები:
16 თებერვალი, 2007წ.
3 აგვისტო, 2012 წ.

# საქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“

# წ ე ს დ ე ბ ა

## (ახალი რედაქცია)

თბილისი
2006 წ.

# სააქციო საზოგადოების „კავკასრეესტრის“
# წ ე ს დ ე ბ ა

## I. ზოგადი დებულებები

1.1. „კავკასრეესტრი“ არის სააქციო საზოგადოება. მისი სრული სახელწოდებაა:
ქართულად – სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“.
ინგლისურად – **Joint Stock Company „Caucasian Register”.**

1.2. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“ (შემდგომში „კავკასრეესტრი“) წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

1.3. სააქციო საზოგადოება "კავკასრეესტრის" საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეესტრის წარმოება.

1.4. „კავკასრეესტრის“ სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

1.5. თავის საქმიანობაში "კავკასრეესტრი" ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.

1.6. სააქციო საზოგადოება "კავკასრეესტრის" ადგილსამყოფელია:
ქ. თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. №11.

## „II. საზოგადოების ფუნქციები და საქმიანობა

2.1. სააქციო საზოგადოება "კავკასრეესტრის" ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

2.1.1. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ან/და ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემიტენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში;

2.1.2. ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება, ფასიანი ქაღალდების ბრუნვის დროს რეესტრში ახალ მფლობელთა შესახებ შესაბამისი ჩანაწერების შექმნა და მათ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების გადაცემა;

2.1.3. ანგარიშის მფლობელთა ანგარიშიდან ამონაწერის ან/და ანგარიშზე ბრუნვის უწყისის მომზადება და გაცემა;

2.1.4. ემიტენტის მიერ განხორციელებული კორპორაციული ქმედებების ასახვა რეესტრში შესაბამისი ოპერაციების (გლობალური ოპერაციები - აქციების დანაწევრება, კონსოლიდაცია, რეორგანიზაცია და სხვ., ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისიია) განხორციელების გზით, მათ შესახებ ოქმისა და ამონაწერების მომზადება ემიტენტის მოთხოვნით;

2.1.5. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის შედგენა სააღრიცხვო თარიღებისთვის და ემიტენტისთვის მიწოდება;

2.1.6. ემიტენტის მოთხოვნით (დავალებით) ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეტყობინების მომზადება ან/და დაგზავნა საერთო კრების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ ან/და დადგენილ ბეჭდვით ორგანოში შეტყობინების გამოქვეყნება, აგრეთვე საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და დღის წესრიგის საკითხებზე ხმის მიცემის ორგანიზება;

2.1.7. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ან ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება და/ან ბლიკირების მოხსნა;

2.1.8. რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;

2.1.9. რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ კანონმდებლობის დადგენილი სუბიექტებისთვის;

2.1.10. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის დელეგირებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება;

2.1.11. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან და მათ აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ლიცენზიითა და ემიტენტებთან დადებული ხელშეკრულებებით.

2.2. „კავკასრეესტრი“ ვალდებულია თავისი წესები შეიმუშაოს კანონმდებლობისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს წესების შესაბამისად.

## III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. ს.ს. "კავკასრეესტრის" საწესდებო კაპიტალი შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს. იგი დაყოფილია ერთი ლარის ნომინალური ღირებულების თხუთმეტი ათას ცალ აქციად.

3.2. სს „კავკასრეესტრის“ აქციების ფლობის უფლება და ერთი პირის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3.3. საზოგადოების აქციათა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე. ამასთან, საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

3.4. აქციონერთა უფლებებში შედის:

3.4.1. მიიღონ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში აქციონერთა კრებაზე მათი ხმების შესაბამისად.

3.4.2. გაეცნონ საზოგადოების სამეურნეო–საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

3.5. სს „კავკასრეესტრის“ შემოსავლები იქმნება:

3.5.1. სააბონენტო, საკომისიო და სხვა შენატანებისგან და გადასახდელებისაგან;

3.5.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

3.6. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი გადადის სააქციო საზოგადოების სრულ განკარგულებაში.

## IV. აქციონერთა საერთო კრება

4.1. სააქციო საზოგადოება "კავკასრეესტრის" მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის ან აქციონერთა გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. აქციონერთა კრებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. ერთ აქციას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:
მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ა, ბ, გ და ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმების 75%-ზე მეტის, ხოლო მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად დამსწრე ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა;

4.3.1. დაამტკიცოს საზოგადოების წესდება, მასში შესატანი ცვლილებები;

4.3.2. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

4.3.3. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;

4.3.4. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

4.3.5. მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## V. სამეთვალყურეო საბჭო

5.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისაგან. იგი აირჩევა ოთხი წლის ვადით.

5.2. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

5.3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.4. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.5. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს სააქციო საზოგადოების დირექტორს და განსაზღვრავს მის კომპეტენციას.

## VI. დირექტორი

6.1. საზოგადოების დირექტორის ფუნქციებში შედის:

6.1.1. საზოგადოების დირექციის შტატის ჩამოყალიბება და მის მუშაკთა თანამდებობრივი კომპეტენციის განსაზღვრა.

6.1.2 საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა.

6.1.3. საზოგადოების წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება, მათ შორის საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა და ა.შ.

6.1.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეურნეო საქმიანობის შესახებ სისტემატური ანგარიშის ჩაბარება.

6.2. დირექციის სხვა თანამშრომელთა უფლება–მოვალეობებს განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების დირექტორი.

ქეთინო ვარდიაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

# სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ხუთ სექტემბერს, მე-ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი№ 68-ში, მომმართა:

ბატონმა **მერაბ ვარდიაშვილმა** (დაბ. 1959 წლის 01.09, პირადი № 01006006829, რეგისტრირებული თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 23 ბ. 19), როგორც ს.ს "კავკასრეესტრი"-ის (ს.კ 211369115) დირექტორმა;

მისი სურვილია ს.ს "კავკასრეესტრი"-ის (ს.კ 211369115) წესდების ახალი რედაქციის დამოწმება სანოტარო წესით.

შევამოწმე პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ბატონი **მერაბ ვარდიაშვილის** უფლებამოსილება დადგენილია ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიულ პირთა რეესტრიდან ს.ს "კავკასრეესტრი"-ის შესახებ, მომზადების თარიღი 2012 წლის 03.02 რეგისტრაციის ნომერი B12015433

წესდების ცვლილების 2 (ორ) ეგზემპლიარს დირექტორმა ხელი მოაწერა ჩემი-ნოტარიუსის თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. №507 დადგენილების 19.1 - მუხლის საფუძველზე - 25.00 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე-2 ლარი-ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-4.50 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად. სულ-31.50 ლარი

ნოტარიუსი- ციური ბერიძე

შეკერილია და დანომრილია [illegible] ფურცლად

ნოტარიუსი:

საქართველო

რეგისტრაციის № 141068540

[illegible] ნოტარიუს [illegible] ციური ბერიძე

[illegible] ქ.თბილისში, რომლის სანოტარო [illegible] ადგილსამყოფელია [illegible] თბილისი [illegible] ქ.

შესრულდება ასლის [illegible]

შესაბამისობა დედანთან. სანოტარო მოქმედება შესრულებულია [illegible] 01.09-596 [illegible] 01006006829 [illegible] 1203 97

[illegible] ნოტარიუსის საზღაური: [illegible]

ნოტარიუსი ციური ბერიძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N141068540 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 30.09.2014 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის ასლის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ციური ზერიძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68. |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2-23-08-90. |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 58370482695414 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სააქციო საზოგადოების „კავკასრეესტრის "

# წ ე ს დ ე ბ ა

## I. ზოგადი დებულებები

1.1 „კავკასრეესტრი" არის სააქციო საზოგადოება. მისი სრული სახელწოდებაა:

ქართულად - სააქციო საზოგადოება ,, კავკასრეესტრი";

ინგლისურად -Joint Stock Company ,,Caucasian Register".

1.2. სააქციო საზოგადოება ,,კავკასრეესტრი"( შემდგომში ,,კავკასრეესტრი) წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

1.3. სააქციო საზოგადოება ,,კავკასრეესტრის" საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეესტრის წარმოება.

1.4. ,,კავკასრეესტრის" სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

1.5. თავის საქმიანობაში ,,კავკასრეესტრი" ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.

1.6. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის" ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

~~სააქციო საზოგადოება ,,კავკასრეესტრის" ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. № 11.~~

Formatted: Georgian

## II. საზოგადოების ფუნქციები და საქმიანობა

2.1. სააქციო საზოგადოება ,,კავკასრეესტრის" ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

2.1.1. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ან/და ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემიტენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში;

2.1.2 ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება, ფასიანი ქაღალდების ბრუნვის დროს რეესტრში ახალ მფლობელთა შესახებ შესაბამისი ჩანაწერების შექმნა და მათ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების გადაცემა;

2.1.3. ანგარიშის მფლობელთა ანგარიშიდან ამონაწერის ან/და ანგარიშზე ბრუნვის უწყისის მომზადება და გაცემა;

2.1.4. ემიტენტის მიერ განხორციელებული კორპორაციული ქმედებების ასახვა რეესტრში შესაბამისი ოპერაციების ( გლობალური ოპერაციები - აქციების დანაწევრება, კონსოლიდაცია, რეორგანიზაცია და სხვ., ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისია) განხორციელების გზით, მათ შესახებ ოქმისა და ამონაწერების მომზადება ემიტენტის მოთხოვნით;

2.1.5. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის შედგენა სააღრიცხვო თარიღებისთვის და ემიტენტისთვის მიწოდება;

2.1.6. ემიტენტის მოთხოვნით (დავალებით) ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეტყობინების მომზადება ან/და დაგზავნა საერთო კრების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ ან/და დადგენილ ბეჭდვით ორგანოში შეტყობინების გამოქვეყნება, აგრეთვე საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და დღის წესრიგის საკითხებზე ხმის მიცემის ორგანიზება;

2.1.7. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ან ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება და/ან ბლოკირების მოხსნა;

2.1.8. რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;

2.1.9. რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ კანონმდებლობის დადგენილი სუბიექტებისთვის;

2.1.10. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის დელეგირებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება;

2.1.11. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან და მათ აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ლიცენზიითა და ემიტენტებთან დადებული ხელშეკრულებებით.

2.2. ,,კავკასრეესტრი’’ ვალდებულია თავისი წესები შეიმუშავოს კანონმდებლობისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს წესების შესაბამისად.

## III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. სს ,,კავკასრეესტრის“ განთავსებული ~~საწესდებო~~ კაპიტალი შეადგენს 105 ~~5~~000 ( ას~~თხუთმეტი~~ ხუთი ათასი~~ათასი~~) ლარს. იგი დაყოფილია 7 (შვიდი)~~ერთი~~ ლარის ნომინალური ღირებულების თხუთმეტი ათას ცალ აქციად.

3.2. სს ,,კავკასრეესტრის'' აქციების ფლობის უფლება და ერთი პირის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3.3. საზოგადოების აქციათა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე. ამასთან, საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

3.4. აქციონერთა უფლებებში შედის:

3.4.1. მიიღონ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში აქციონერთა კრებაზე მათი ხმების შესაბამისად.

3.4.2. გაეცნონ საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

3.5. სს ,, კავკასრეესტრის'' შემოსავლები იქმნება:

3.5.1. სააბონენტო, საკომისიო და სხვა შენატანებისგან და გადასახდელებისაგან;

3.5.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

3.6. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი გადადის სააქციო საზოგადოების სრულ განკარგულებაში.

## IV. აქციონერთა საერთო კრება

4.1. სააქციო საზოგადოება ,, კავკასრეესტრის'' მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ~~სხდომა~~კრება მოიწვევა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის ან აქციონერთა გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. აქციონერთა კრებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. ერთ აქციას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები წესდებით და ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან წინამდებარე წესდების 4.3.1; 4.3.2; 4.3.3 და 4.3.5; ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

**Commented [t1]:** კანონის 156.1 მუხლის მოთხოვნა. ასევე იმისათვის რომ არ შეცვლილიყო აქციათა რაოდენობა განთავსებული კაპიტალი განისაზღვრა 105 000 ლარით. გაიზრდება მხოლოდ ნომინალური ღირებულება და იქნება 1 ლარის ნაცვლად 7 ლარი.

გასათვალისწინებელია 164-ე მუხლის მოთხოვნები, 25 % ის განაღდებასთან და ა.შ. გათვალისწინებით

**Commented [t2]:** იგივე შინაარსია გადმოსული უბრალოდ გაქრა ძველ კანონზე მითითება რადგან უთითებდა უკვე გაუქმებულ კანონზე.კერძოდკი ძველი კანონის 54-ე მუხლზე

გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 75% -ზე მეტის თანხმობა, ხოლო ყველა სხვა გადაწყვეტილება მიიღება კანონის შესაბამისად

4.3.1. დაამტკიცოს საზოგადოების წესდება, მასში შესატანი ცვლილებები;

4.3.2. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

4.3.3. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;

4.3.4. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

4.3.5. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);

4.3.6. მიიღოს გადაწყვეტილებები ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“-„ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო.

~~,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 54 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 54 მუხლის მე-6 პუნქტის ა, ბ, გ და ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმების 75% -ზე მეტის, ხოლო მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად დამსწრე ხმების 50% -ზე მეტის თანხმობა;~~

~~4.3.5. მიიღოს გადაწყვეტილებები ,, მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.~~

4.4. საერთო კრების ჩატარების ფორმა არის ფიზიკური დასწრება, ე.ი. საერთო კრებას მონაწილეები უშუალოდ უნდა ესწრებოდნენ. კრება შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული საშუალებებით ისეთი ფორსმაჟორული გარემოებისას, რომელიც შეუძლებელს ხდის კრების ფიზიკურად ჩატარებას.

4.4.1. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისას 4.4. – ქვეპუნქტით ~~ით~~ გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.

4.4.2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით 4.4. -ქვეპუნქტით-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიოტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.

Formatted: Font: Sylfaen

## V. სამეთვალყურეო საბჭო

5.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისაგან. იგი აირჩევა 3 (სამი)ოთხი წლის ვადით.

Commented [t3]: ახალი კანონი მუხლი 212.5

5.2. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

5.3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.4 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.5. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს სააქციო საზოგადოების დირექტორს და განსაზღვრავს მის კომპეტენციას.

## VI. დირექტორი

6.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელიც ინიშნება მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი ვადით. იგი შეუზღუდავად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საზოგადოების დირექტორის ფუნქციებში შედის:

6.1.1. საზოგადოების დირექციის შტატის ჩამოყალიბება და მის მუშაკთა თანამდებობრივი კომპეტენციის განსაზღვრა.

Formatted: Georgian, Not Highlight

6.1.2. საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა.

6.1.3. საზოგადოების წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება, მათ შორის საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა და ა.შ.

6.1.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეურნეო საქმიანობის შესახებ სისტემატური ანგარიშის ჩაბარება.

6.2. დირექციის სხვა თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების დირექტორი.

Formatted: Georgian, Not Highlight

Formatted: Georgian

## VII. დასკვნითი დებულებები

7.1. ამ წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება აქციონერთა კრების მიერ ამავე წესდებით დადგენილი წესით.

7.2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე წესდებით რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

Formatted: Left, Space Before: 0 pt, After: 8 pt, Line spacing: Multiple 1.08 li

Formatted: Font: Sylfaen, 12 pt

**სააქციო საზოგადოების ,,კავკასრეესტრის ''**

# წ ე ს დ ე ბ ა

## I. ზოგადი დებულებები

1.1 „კავკასრეესტრი'' არის სააქციო საზოგადოება. მისი სრული სახელწოდებაა:

ქართულად - სააქციო საზოგადოება ,, კავკასრეესტრი'';

ინგლისურად -Joint Stock Company ,,Caucasian Register''.

1.2. სააქციო საზოგადოება ,,კავკასრეესტრი''( შემდგომში ,,კავკასრეესტრი) წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

1.3. სააქციო საზოგადოება ,,კავკასრეესტრის'' საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეესტრის წარმოება.

1.4. ,,კავკასრეესტრის'' სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

1.5. თავის საქმიანობაში ,,კავკასრეესტრი'' ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.

1.6. სააქციო საზოგადოება "კავკასრეესტრის" ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

## II. საზოგადოების ფუნქციები და საქმიანობა

2.1. სააქციო საზოგადოება ,,კავკასრეესტრის'' ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

2.1.1. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ან/და ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემიტენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში;

2.1.2 ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება, ფასიანი ქაღალდების ბრუნვის დროს რეესტრში ახალ მფლობელთა შესახებ შესაბამისი ჩანაწერების შექმნა და მათ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების გადაცემა;

2.1.3. ანგარიშის მფლობელთა ანგარიშიდან ამონაწერის ან/და ანგარიშზე ბრუნვის უწყისის მომზადება და გაცემა;

2.1.4. ემიტენტის მიერ განხორციელებული კორპორაციული ქმედებების ასახვა რეესტრში შესაბამისი ოპერაციების ( გლობალური ოპერაციები - აქციების დანაწევრება, კონსოლიდაცია, რეორგანიზაცია და სხვ., ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისია) განხორციელების გზით, მათ შესახებ ოქმისა და ამონაწერების მომზადება ემიტენტის მოთხოვნით;

2.1.5. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის შედგენა სააღრიცხვო თარიღებისთვის და ემიტენტისთვის მიწოდება;

2.1.6. ემიტენტის მოთხოვნით (დავალებით) ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეტყობინების მომზადება ან/და დაგზავნა საერთო კრების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ ან/და დადგენილ ბეჭდვით ორგანოში შეტყობინების გამოქვეყნება, აგრეთვე საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და დღის წესრიგის საკითხებზე ხმის მიცემის ორგანიზება;

2.1.7. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ან ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება და/ან ბლოკირების მოხსნა;

2.1.8. რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;

2.1.9. რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ კანონმდებლობის დადგენილი სუბიექტებისთვის;

2.1.10. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის დელეგირებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება;

2.1.11. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან და მათ აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ლიცენზიითა და ემიტენტებთან დადებული ხელშეკრულებებით.

2.2. ,,კავკასრეესტრი’’ ვალდებულია თავისი წესები შეიმუშავოს კანონმდებლობისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს წესების შესაბამისად.

## III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. სს ,,კავკასრეესტრის“ განთავსებული კაპიტალი შეადგენს 105 000 ( ას ხუთი ათასი) ლარს. იგი დაყოფილია 7 (შვიდი) ლარის ნომინალური ღირებულების თხუთმეტი ათას ცალ აქციად.

3.2. სს ,,კავკასრეესტრის'' აქციების ფლობის უფლება და ერთი პირის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით.

3.3. საზოგადოების აქციათა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე. ამასთან, საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

3.4. აქციონერთა უფლებებში შედის:

3.4.1. მიიღონ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში აქციონერთა კრებაზე მათი ხმების შესაბამისად.

3.4.2. გაეცნონ საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

3.5. სს ,, კავკასრეესტრის'' შემოსავლები იქმნება:

3.5.1. სააბონენტო, საკომისიო და სხვა შენატანებისგან და გადასახდელებისაგან;

3.5.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

3.6. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი გადადის სააქციო საზოგადოების სრულ განკარგულებაში.

## IV. აქციონერთა საერთო კრება

4.1. სააქციო საზოგადოება ,, კავკასრეესტრის'' მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე კრება მოიწვევა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის ან აქციონერთა გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. აქციონერთა კრებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. ერთ აქციას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები წესდებით და ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან წინამდებარე წესდების 4.3.1; 4.3.2; 4.3.3 და 4.3.5; ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 75% -ზე მეტის თანხმობა, ხოლო ყველა სხვა გადაწყვეტილება მიიღება კანონის შესაბამისად

4.3.1. დაამტკიცოს საზოგადოების წესდება, მასში შესატანი ცვლილებები;

4.3.2. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

4.3.3. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;

4.3.4. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

4.3.5. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);

4.3.6. მიიღოს გადაწყვეტილებები ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“-„ს“ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო.

4.4. საერთო კრების ჩატარების ფორმა არის ფიზიკური დასწრება, ე.ი. საერთო კრებას მონაწილეები უშუალოდ უნდა ესწრებოდნენ. კრება შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული საშუალებებით ისეთი ფორსმაჟორული გარემოებისას, რომელიც შეუძლებელს ხდის კრების ფიზიკურად ჩატარებას.

4.4.1. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისას 4.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.

4.4.2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით 4.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიოტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.

## V. სამეთვალყურეო საბჭო

5.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისაგან. იგი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით.

5.2. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

5.3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.4 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.5. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს სააქციო საზოგადოების დირექტორს და განსაზღვრავს მის კომპეტენციას.

## VI. დირექტორი

6.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელიც ინიშნება მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი ვადით. იგი შეუზღუდავად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საზოგადოების დირექტორის ფუნქციებში შედის:

6.1.1. საზოგადოების შტატის ჩამოყალიბება და მის მუშაკთა თანამდებობრივი კომპეტენციის განსაზღვრა.

6.1.2. საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა.

6.1.3. საზოგადოების წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება, მათ შორის საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა და ა.შ.

6.1.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეურნეო საქმიანობის შესახებ სისტემატური ანგარიშის ჩაბარება.

6.2. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების დირექტორი.

## VII. დასკვნითი დებულებები

7.1. ამ წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება აქციონერთა კრების მიერ ამავე წესდებით დადგენილი წესით.

7.2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე წესდებით რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით

**სს "კავკასრეესტრი"**
**საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის**
**საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემების**
**"მეწარმეთა შესახებ"კანონთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით**

**ზოგადი ინფორმაცია**

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს ახალი კანონი ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებები ძირითადად მომდინარეობს ევროდირექტივის[1] მოთხოვნებიდან, ვინაიდან საქართველომ 2014 წელს[2] აიღო ვალდებულება მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიაში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილება სწორედ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაწილია.

**კანონის 254-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:**
" ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული საწარმო ვალდებულია ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი სამეწარმეო საზოგადოებისა და სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა. "

ამდენად ნათელია, რომ აღნიშნული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას, ხოლო შემდეგში კი მის ლიკვიდაციას და საწარმოს არსებობის შეწყვეტას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უდავოა, რომ კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

**ხელმძღვანელი ორგანოს ვალდებულება**

**კანონის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:**
" ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა

[1] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32017L1132
[2] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.” ხელმძღვანელი პირი უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. ცხადია, რომ ხელმძღვანელი პირის უპირველეს ვალდებულებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ არ დააყენოს საწარმო არარსებობის ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე. შესაბამისად, ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მომზადებულია სარეგისტრაციო მონაცემები და ყველა საჭირო დოკიმენტაცია ახალ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რომლებიც წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა კრებას.

წარმოდგენილი შესწორებების მიზანს წარმოადგენს მოქმედი წესდების კანონთან შესაბამისობასი მოყვანა და ახალი მოთხოვნების გათვალისწინება, იმ პირობით რომ უცვლელად იქნება გადმოტანილი აქციონერთა და მმართველი ორგანების ის უფლებები რაც მოქმედ წესდებაშია. აღსანიშნავია, რომ მოქმედი წესდება და მისი ბოლო რედაქცია მთლიანად ეფუძნება ბოლო რედაქციის მიღების მომენტისთვის მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანონით გაწერილ აქციონერთა კრების და მმართველი ორგანოების უფლებებს.

**შესწორებები არსებულ წესდებაში და მათი დასაბუთება**

**ზოგადი ინფორმაცია**

როგორც ცნობილია საწარმოს აქვს 2012 წლის 3 აგვისტოს დამტკიცებული წესდება, რომელიც მოქმედია. აუცილებელია წესდებაში იმ მინიმალური შესწორებების შეტანა რაც ახალი კანონის იმპერატიული მოთხოვნებიდან მომდინარეობს და რაც აუცილებელია კომპანიის მონაცემების კანონის შესაბამისად რეგისტრაციის მიზნებისათვის.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი წესდება ფაქტობრივად მოქმედი წესდების ინდენტურია და მასში განხორციელებულია მინიმალირი ცვლილებები კანონის იმპერატიულ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**შესწორებები წესდებაში**

წესდების 1.6 პუნქტში დაზუსტდა საზოგადოების მისამართი, რადგან არსებულ რედაქციაში არსრულად იყო მითითებული. შენობას რომელშიც განათავსებულია სს „კავკასრეესტრი“ 2001 წლიდან რამოდენიმეჯერ შეეცვალა მისმართი და ამჟამად მისი ოფილციალური მისამართია ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსეშვილის ქუჩა #11.

1. წესდების 3.1. პუნქტში განხორციელდა ცვლილება კანონის 156.1 მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, რომ სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს ასევე იმისათვის, რომ არ შეცვლილიყო აქციათა რაოდენობა . განთავსებული კაპიტალი განისაზღვრა 105 000 ლარით. წესდებით ახალი ვერსიით შემოთავაზებულია, რომ გაიზარდოს მხოლოდ ნომინალური ღირებულება და ნაცვლად 1 ლარისა განისაზღვროს 7 ლარით.
2. წესდების 4.3. პუნქტში განხორციელდა ცვლილება, რადგან წესდების აღნიშნული მუხლი უთითებდა გაუქმებული კანონის 54-ე მუხლზე. ცხადია გაუქმებულ კანონზე მითითებით მარეგისტრირებელი ორგანო არ დაარეგისტრირებს წესდებას და დაადგენს ხარვეზს. ამასთან თავად ამ მუხლის შინაარსი უცვლელი დარჩა, რაც ასევე შესაბამისობაშია ახალი კანონის მოთხოვნებთან.

   მოქმედი წესდებით, ასევე მისი მიღების მომენტისთვის მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება აქციონერთა კრების კომპეტენციაა და საჭიროებს ხმათა 3/4-ს. აქედან გამომდინარე 4.3 პუნქტზე მოხდა ერთადერთი დამატება (4.3.5 ქვეპუნქტი), რომელიც ეხება აქციონერთა უმნიშვნელოვანესი უფლების - უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებას. შესაბამისად მოხდა არსებული 4.3.5 ქვეპუნქტის გადანომვრა 4.3.6 ქვეპუნქტად.
   მოქმედი წესდების 4.3 პუნქტით გაწერილია ის უფლებები რომელიც აქციონერთა კრებას გააჩნია.აღსანიშნავია, რომ მოქმედი წესდება მთლიანად ეფუძნება ბოლო რედაქციის მიღების მომენტისთვის მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანონით გაწერილ აქციონერთა კრების უფლებებს. 4.3 პუნქტის დასაწყისში განსაზღვრულია კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა და მასში მითითებულია მეწარმეთა შესახებ ძველი კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი მთლიანად და მისი რამოდენიმე ქვეპუნქტი, რომელებსაც ესაჭიროება გადაწყვეტილების მისაღებად ხმების 3/4, ვინაიდან ახალ კანონში 54-ე მუხლი სულ სხვა საკითხს ეხება და არც მე-6 პუნქტი გააჩნია და არც ა,ბ,გ და ვ ქვეპუნქტები ამიტომ 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი და ჩამოთვლილი მისი ქვეპუნქტები ამოღებულ იქნა და შინაარსის შენარჩუნების მიზნით მის ნაცვლად ჩაიწერა 4.3. პუნქტის ქვეპუნქტები რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამება მოქმედ წესდებას.
3. წესდების 5.1. პუნქტში განხორციელდა შესწორება, ახალი კანონის 212-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პოზიციაზე ყოფნის ვადად განისაზღვრა 3 წელი.

4. წესდების 6.1. პუნქტში განხორციელდა ცვლილება და მიეთითა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობის

უფლება ენიჭება დირექტორს, რომელიც ინიშნება მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი ვადით. იგი შეუზღუდავად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ნათლად აისახოს დირექტორის უფლებამოსილების შესახებ წესდებას და სადამფუძნებლო შეთანხმებაში, სწორედ აღნიშნული მოთხოვნა იქნა გათვალისწინებული და წესდებაში აისახა ის რეალური ფაქტობრივი და არსებული მდგომარეობა რაც დღეს არის სახეზე, კერძოდ ის რომ დირექტორი დამოუკიდებლად წარმოადგენს საწარმოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. მაჟორიტარი აქციონერის მოთხოვნით დაემატა ფორსმაჟორული გარემოებისას აქციონერთა კრების დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობა
6. დაემატა VII მუხლი, რომლის თანახმად საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე წესდებით რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

**დასკვნა**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ წესდება ფაქტობრივად შენარჩუნებულია იმავე შინაარსით რაც მოქმედია დღემდე. მასში განხორციელებულია მხოლოდ ის სავალდებულო ცვლილებები, რაც ახალი კანონის მოთხოვნაა და რომელთა გაუთვალისწინებლობაც რეგისტრაციის შესაძლებლობას გამორიცხავს. რეგისტაციის სავალდებულობაზე და მისი განუხორციელებლობის შედეგებზე ზემოთ დეტალურადაა მითითებული, კერძოდ კი ის, რომ ახალი კანონის შესაბამისად რეგისტრაციის განუხორციელებლობა გამოიწვევს კომპანიის რეგისტრაციის გაუქმებას და მის ლიკვიდაციას.

წესდების პროექტი იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანაზე უარის თქმის ობიექტური საფუძვლები არ არსებობს.

პატივისცემით,

დირექტორი:

მერაბ ვარდიაშვილი --------------------

# სადამფუძნებლო შეთანხმება

## (პროექტი)

(სააქციო საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* – სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

**სამართლებრივი ფორმა - სააქციო საზოგადოება**

***საფირმო სახელწოდება - სს კავკასრეესტრი**

უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე - JSC Caucasian Register**

უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

- *** იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11**

საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

*** დამფუძნებლები/აქციონერები**

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი. აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა, მხოლოდ სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის

1. ..........................................................................................................................................

2. ..........................................................................................................................................

**ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი**

ხელმძღვანელი ორგანოს დასახელება (მაგ. დირექტორი, დირექტორატი, დირექტორთა საბჭო, პრეზიდიუმი და სხვა)

***ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები**

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია).

**დირექტორი :** მერაბ ვარდიაშვილი (პ/ნ 01006006829), თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 23, ბინა 19.

***ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**

უნდა მიეთითოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ საზოგადობას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, უნდა მიეთითოს თითოეული წევრის უფლებამოსილება.

ერთპიროვნული

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**

რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირი

დირექტორი - მერაბ ვარდიაშვილი (პ/ნ 01006006829).

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

mvardiashvili@kavkasreestri.ge

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

+ 995 599 552495

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

## *სამეთვალყურეო საბჭო

***სამეთვალყურეოს საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან**

(რაოდენობა)

***სამეთვალყურეო საბჭოს წევრები**

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ვახტანგ სვანაძე (პნ: 01024009385) თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა, N 8ბ, ბინა 13
2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი - მერაბ მემარნიშვილი (პნ: 01026007775) თბილისი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, კორპუსი 8, ბინა 21
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - თეა ჯოხაძე (პნ 01009003088), თბილისი, ნაფარეულის ქუჩა, N18, ბინა 16;

**სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის უფლებამოსილების ვადაა 3 (სამი) წელი.**

**არსებობის შემთხვევაში გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი/პროკურისტი**

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

..............................................................................................................................................

## კაპიტალი

**ნებადართული კაპიტალი შეადგენს.................ლარს**

(კაპიტალის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შპს-ს შეუძლია მომავალში მიიღოს წილების განთავსების გადაწყვეტილება) -არსებობის შემთხვევაში

***განთავსებული კაპიტალი შეადგენს: 105 000 (ას ხუთი ათასი) ლარს**

(განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულებათა ჯამის ტოლი. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს.)

***განაღდებული კაპიტალი შეადგენს: 105 000 (ას ხუთი ათასი) ლარს**

(სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის განაღდებული ნაწილის ოდენობა, ანუ განთავსებული კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.განაღდებული კაპიტალი ფულადი სახით უნდა იყოს შევსებული და იგი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 25%-ს)

**ნებადართული კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს ......... ლარს**

**არსებობის შემთხვევაში აქციათა კლასი**

................................. კლასი
(კლასის დასახელება)
....................................... კლასი
(კლასის დასახელება)

**არსებობის შემთხვევაში დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა და მათი ნომინალური ღირებულება**

აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის აქციასთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის აქცია არსებობს. გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

- [1]დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა არის .......... ერთეული და 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა ------ ლარი

**აქციათა კლასების არსებობის შემთხვევაში**

- ნომინალური ღირებულების მქონე **ჩვეულებრივი** [2] კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა არის **15 000 (თხუთმეტი ათასი)** ერთეული, ხოლო 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა **7 (შვიდი) ლარი.**
- ნომინალური ღირებულების მქონე ..................................... კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა არის ............. ერთეული, ხოლო 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა ------ ლარი

**ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების ოდენობა**

აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებას დაფუძნების მომენტისთვის ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციები არ აქვს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეთითოს თითოეული კლასის აქციასთან მიმართებით, თუ განსხვავებული კლასის აქცია არსებობს. გამოხატული უნდა იყოს მთელი რიცხვით

- [3]ნომინალური ღირებულების გარეშე განთავსებული აქციების ოდენობა არის ------ ერთეული

**აქციათა კლასების არსებობის შემთხვევაში**

ნომინალური ღირებულების გარეშე ...................................... კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს............. ერთეულს

ნომინალური ღირებულების გარეშე ...................................... კლასის განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს............. ერთეულს

***არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულება, ხოლო, ნომინალური ღირებულების გარეშე გამოშვებული აქციების შემთხვევაში, მათი რაოდენობა, შენატანის სახე და შენატანზე ვალდებული პირის სახელი/სახელწოდება**

აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოებას წესდებით არაფულადი შენატანის განხორციელება არ არის აკრძალული.

..........................................................................................................................................................

[1] აღნიშნული ინფორმაცია ივსება მხლოდ იმ შემთხვევაში თუ აქციას კლასი არ აქვს
[2] უნდა მიეთითოს კლასის დასახელება
[3] აღნიშნული ინფორმაცია ივსება მხლოდ იმ შემთხვევაში თუ აქციას კლასი არ აქვს

.......................................................................................................................................................................................................

***დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ არსებული ან სავარაუდო ხარჯები, რომლებიც უნდა გაიღოს სააქციო საზოგადოებამ**

შეადგენს 0 (ნული) ლარს

***დაფუძნების, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში პროცესში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებელი**

შეადგენს 0 (ნული) ლარს

**წესდება**

**სს კავკასრეესტრის (ს/ნ 211369115) აქციონერების მიერ შემუშავებული და აქციონერთა საერთო კრებაზე დამტკიცებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს.**

დირექტორი - მერაბ ვარდიაშვილი, (პნ: 01006006829) ..............................................................

ხელმოწერა

პარტნიორი/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

თარიღი: --- ------------------- 2026 წელი.

სს "კავკასრეესტრი"
აქციონერთა გადაწყვეტილება (პროექტი)

ქ.თბილისი 23.02.2026

სს "კავკასრეესტრის" აქციონერთა კრება გაიმართა 2026 წლის 17 მარტს, 11:00 საათზე, კომპანიის მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

დღის წესრიგი

1. 2024 წლის აუდირებული ანგარიშის დამტკიცება და მმართველი ორგანოს მუშაობის შეფასება;
2. მოგების განაწილების შესახებ;
3. სს "კავკასრეესტრის" წესდებისა და სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება, საწარმოს რეგისტრაციის მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
5. სს „კავკასრეესტრის" ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორის არჩევის შესახებ;
6. მარეგისტრირებელ ორგანიზაციაში რეგისტრაციის მიზნით უფლებამოსილი პირის და მისი უფლებამოსილების განსაზღვრა.

გადაწყვეტილების პროექტი

1. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

*მოწონებულ იქნას სს „კავკასრეესტრის" სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის მუშაობა.*

2. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

*კომპანიის 2024 წლის მოგება არ იქნეს განაწილებული და დარჩეს კომპანიის განკარგულებაში*

3. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

*დამტკიცდეს წესდება წარმოდგენილი რედაქციით (იხ.დანართი), მოყვანილ იქნეს საწარმოს სარგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთან და აისახოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში.*

4. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

*სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად ხელახალი ვადით არჩეულ იქნენ ვახტანგ სვანაძე და მერაბ მემარნიშვილი და სს საქართველოს საფონდო ბირჟიდან სამეთვალყურეო საჭოს წევრად არჩეულ იქნეს თეა ჯოხაძე ან მათ მიერ დასახელებული სხვა პირი.*

5. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

*სს "კავკასრეესტრის" ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად არჩეულ იქნას აუდიტორული კომპანია შპს „ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალთინგი"".*

6. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით:

*უფლებამოსილება მიეცეს კრების თავმჯდომარეს ვახტანგ სვანაძეს განახორციელოს ნებისმიერი ქმედება მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მიზნით, რისთვისაც მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგინოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჭირო დოკუმენტს, განახორციელოს ნებისმიერი ქმედება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დადგენილი შესაძლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად და ამ მიზნით ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს.*

კრების თავმჯდომარე

------------

სს საქართველოს საონდო ბირჟიდან შემოსულია წინადადება:

1. შევიდეს ცვლილება სს კავკასრეესტრის მოქმედი წესდების 4.3 პუნქტში და ,,სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„**საბჭოს წევრს ირჩევს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობით**“;**

2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევასთან დაკავშირებით: ,,3 წევრიდან 2 წევრი დაასახელოს „მაჟორიტარ აქციონერთა ჯგუფმა“, ხოლო 1 წევრი დაასახელოს მინორიტარ აქციონერთა ჯგუფმა“.